განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა – ისტორია

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 2018 წლის 14 მაისი

დასკვნის პროექტის წარმოდგენის თარიღი: 2018 წლის 1 ივნისი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
განათლების საფეხური	მესამე საფეხური – დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი – 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული. პროგრამა აკრედიტებულია 02/05/2013, №69 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ თორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) ისტორიის სადოქტორო პროგრამა შედგება 180 კრედიტისაგან, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი – დისერტაციაზე მუშაობას. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (40 ECTS, საიდანაც 20 ECTS ეთმობა უშუალოდ სასწავლო კურსებს, 5 ECTS – პროფესორის ასისტენტობას, 15 ECTS – დოქტორანტის სემინარებს დარგსა და ქვედარგში) და არჩევითი (20 ECTS. სულ დოქტორანტს აქვს საშუალება აირჩიოს 4 კურსი შემოთავაზებული 12 არჩევითი კურსიდან) კომპონენტებისაგან. პროგრამა ანიჭებს ისტორიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული კვალიფიკაციის მინიჭების წესთან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად. პროგრამა აკრედიტებული იყო 2013 წელს ამჟამად გადის ხელახალ აკრედიტაციას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2018 წლის 14 მაისს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, დოქტორანტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.

ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- ცალკეული არჩევითი კურსები (ისტორიის ფილოსოფიის პრობლემები, მსოფლიო

ისტორიის აქტუალური პრობლემები, ანტიკური რომისა და საქართველოს ურთიერთობები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1878-1918 წლებში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის აქტუალური პრობლემები) საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას ან გამდიდრებას;

- უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ქართულ ენაში ცოდნის წინაპირობად, როგორც მინიმუმ, განისაზღვროს B1 დონე იმ დათქმით, რომ სწავლების ბოლოსთვის სტუდენტმა უნდა იცოდეს ქართული B2 დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება სტუდენტისათვის ქართულ ენაზე ჯერ სასწავლო კურსების დაძლევა, ხოლო შემდეგ დისერტაციის ქართულ ენაზე შესრულება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტი დანერგავს პლატფორმას (მაგალითად, Flipbook-ს ან მის მსგავს სხვა პროგრამას), რომელიც შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის კომპიუტერებზე ელექტრონული წიგნების კითხვას მათი ამობეჭდვის ან შენახვის უფლების გარეშე. ამით უნივერსიტეტი შეძლებს საკუთარი კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებას საავტორო უფლებების დარღვევის გარეშე.
  - სასურველია, წესრიგში იყოს მოყვანილი დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების კითხვარი. პროგრამაში უბრალოდ მითითებულია უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა და შემდეგ დაკონკრეტებულია, რომ ბარდება გამოცდა ინგლისურ ენაში. თვითშეფასების კითხვარში უცხო ენების ჩამონათვალში, ინგლისურთან ერთად, რატომღაც მოცემულია გერმანული და ფრანგული ენებიც (ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უკვე ერთი წელია პროგრამაზე ბარდება მხოლოდ ინგლისური ენა). გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარში უცხოეთის მოქალაქეებისთვის მოთხოვნად არასწორად წერია ქართული ენის B2 (უნდა ეწეროს A2) დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენა ან ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდგომ დაცული იქნა სამი დისერტაცია: სულხან ალექსაია – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები (2013 წელი); გუგული კუკულაძე – საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) (2016 წელი); ნანი ფუტკარაძე – ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში (ეთნომენტალური მარკერები და პოლიტიკურ-კულტურული მეხსიერების საკითხები) (2017 წელი). სამივე მათგანს მიენიჭა ისტორიის აკადემიური დოქტორის ხარისხი;
  - პროგრამის წინა აკრედიტაციისას მიცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული არ არის, თუმცა ჩვენი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ემთხვევა მხოლოდ ერთ მათგანს (სილაბუსებში ლიტერატურის გადახალისება). დანარჩენი

2018 წელს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისთვის ან არ არის რელევანტური (სპეციალობაში საგამოცდო საკითხების სიის შექმნა, როდესაც დღეს სპეციალობაში ტარდება გასაუბრება), ან დამოკიდებულია უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის ხედვაზე (სავალდებულო და არჩევითი საგნების დაყოფა). ჩვენი აზრით, დღეს არსებული დაყოფა ლოგიკურია და ემსახურება პროგრამის მიზნებს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიის სადოქტორო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან და მიმართულია ისტორიის სხვადასხვა სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ: სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას; უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის გზით საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული საისტორიო სკოლის მიღწევების გატანას; ახალი იდეების კრიტიკულად გაანალიზებას, შეფასებას და დაცვას; ახალი ცოდნის დაგროვებასა და გავრცელებას; დარგის ცალკეული დისციპლინების სწავლებას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. დღეისათვის ყველა კურსდამთავრებული და პრაქტიკულად ყველა მოქმედი დოქტორანტი დასაქმებულია. სამივე კურსდამთავრებული დასაქმებულია პროფილის მიხედვით, ხოლო დოქტორანტების უმრავლესობა ასევე დასაქმებულია პროფილის მიხედვით და ხარისხის დაცვა ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლას. აქედან გამომდინარე, პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მისი მიზნები მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია (https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html); ○ ისტორიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან, დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდგომ დაცული იქნა სამი დისერტაცია: სულხან ალექსაია – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები (2013 წელი); გუგული კუკულაძე – საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) (2016 წელი); ნანი ფუტკარაძე – ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში (ეთნომენტალური მარკერები და პოლიტიკურ-კულტურული მეხსიერების საკითხები) (2017 წელი). სამივე მათგანს მიენიჭა ისტორიის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილი ცალკეული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილები მთლიანობაში უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები თავისი თემატიკით, სწავლების მეთოდებითა და კრედიტების მოცულობით შეესაბამება სადოქტორო დონეს და ისინი სრულ შესაბამისობაშია პროგრამაში აღწერილ სწავლის შედეგებთან და, ამავე დროს, არჩევითი კურსების სილაბუსების ნაწილი მოითხოვს უცხოენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას, ხოლო ზოგიერთ კურსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია წიგნები, რომლებიც თავისი შინაარსით საბაკალავრო დონეს შეესაბამება (დეტალურად იხ.: რეკომენდაციების ნაწილი). როგორც ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, პერსონალი სილაბუსებში ვერ უთითებს იმ წიგნებს, რომლებიც მათ თავად გააჩნიათ (პირველ რიგში, ელექტრონული სახით), რადგანაც

ისინი არ ინახება ბიბლიოთეკაში, რათა არ დაირღვევს საავტორო უფლებები. მართალია, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, შეიძინოს ახალი ლიტერატურა, მაგრამ ეს დაკავშირებულია სერიოზულ ხარჯებთან და, ამავე დროს, გართულებულია დროში ტენდერის აუცილებლობის გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- ცალკეული კურსების სილაბუსები;
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

ცალკეული კურსები, რომლებიც საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას:

- ისტორიის ფილოსოფიის პრობლემები – ძირითად ლიტერატურაში დიდი რაოდენობით გვხვდება რუსულენოვანი წიგნები, მათ შორის, ინგლისურენოვანი ავტორების (მაგ. ტოინბი, ანკერსმითი, ბოლინგბროკი) წიგნების რუსული თარგმანები. ვინაიდან პროგრამის წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ხოლო თავად არჩევით კურსს წინაპირობა არ გააჩნია, რუსული ლიტერატურის მითითება ძირითად ლიტერატურაში არასწორია. გარდა ამისა, არ არის მითითებული თავად იმ ავტორთა (მაგ. ფუკუიამა, შპენგლერი და ა.შ.) წიგნები, რომელთა თეორიებიც მიმოხილულია სილაბუსში.
- მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემები – საჭიროა როგორც ლიტერატურის გამდიდრება (პირველ რიგში, ინგლისურენოვანი წიგნებით), ისე დამხმარე ლიტერატურიდან საბაკალავრო დონის წიგნების (Новая история стран Европы и Америки XVI-XIX века. М., 2005; История Новейшего времени стран Европы и Америки 1945-2000. М., 2003) ამოღება;
- ანტიკური რომისა და საქართველოს ურთიერთობები – ვინაიდან კურსს არ გააჩნია წინაპირობა, ნოდარ ლომოურის რუსულენოვანი წიგნი ძირითადი ლიტერატურიდან გადასატანია დამხმარეში, ხოლო დამხმარე ლიტერატურიდან ამოსაღებია ლევან სანიკიძის წიგნები, რომლებიც საცნობარო ხასიათისაა და დოქტორანტს საკითხის გარშემო ახალ ცოდნას ვერ შესძენს;
- სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1878-1918 წლებში – ძირითადი ლიტერატურის უმეტესი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად მისცემს დოქტორანტს საკითხის გარშემო ახალ ცოდნას. ამავე დროს, დამხმარე ლიტერატურა სრულად შეესაბამება სილაბუსის როგორც თემატიკას, ისე კურსის მიზნებსა და სწავლების შედეგებს. უმჯობესი იქნება, დამხმარე ლიტერატურის ნაწილი გადატანილ იქნას ძირითად ლიტერატურაში, ხოლო ზოგადი ხასიათის წიგნები, რომლებიც მოცემულია ძირითად ლიტერატურაში (ვაჩნაძე მ., გურული ვ. საქართველოს ისტორია XIX – XX საუკუნეებში; საქართველოს ისტორია, ტ. IV; ბენდიანიშვილი ალ. საქართველოს ისტორია (1801-1921 წწ.); ჯანელიძე ო. საქართველოს ისტორია , XIX ს.) ან საერთოდ იქნას ამოღებული სილაბუსიდან, ან გადატანილ იქნას

დამხმარე ლიტერატურაში; ○ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის აქტუალური პრობლემები – ვინაიდან კურსს არ გააჩნია წინაპირობა, ძირითადი ლიტერატურიდან ამოსაღებია რუსულენოვანი წიგნები და გადასატანია დამხმარე ლიტერატურაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტი დანერგავს პლატფორმას (მაგალითად, Flipbook-ს ან მის მსგავს სხვა პროგრამას), რომელიც შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის კომპიუტერებზე ელექტრონული წიგნების კითხვას მათი ამობეჭდვის ან შენახვის უფლების გარეშე. ამით ბსუ შეძლებს საკუთარი კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებას საავტორო უფლებების დარღვევის გარეშე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი – კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი, თავის მხრივ, შედგება სავალდებულო კურსების 40 კრედიტისაგან (აქედან 20 კრედიტი ეთმობა

უშუალოდ სასწავლო კურსებს, 5 კრედიტი – პროფესორის ასისტენტობას, 15 კრედიტი – დოქტორანტის სემინარებს დარგსა და ქვედარგში) და არჩევითი კურსების 20 კრედიტისაგან (სულ დოქტორანტს აქვს საშუალება აირჩიოს 4 კურსი შემოთავაზებული 12 არჩევითი კურსიდან). კვლევითი კომპონენტი ლოგიკურად არის დაყოფილი და კოლოქვიუმები სემესტრულად დაცილებულია დოქტორანტის სემინარებს, რაც მოხდა თავად დოქტორანტების თხოვნით. სამეცნიერო ხელმძღვანელები აკონტროლებენ კვლევის პროგრესს და აძლევენ შესაბამის მითითებებს დოქტორანტებს. პროგრამა ანიჭებს ისტორიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული კვალიფიკაციის მინიჭების წესთან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად. ამის დასტურია უკვე დაცული დისერტაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჩვენი აზრით, ზოგადად, სადოქტორო პროგრამისთვის დასაქმება ვერ იქნება მოთხოვნა, რადგანაც, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დოქტორანტების უდიდესი უმრავლესობა უკვე დასაქმებულია სწავლის მესამე საფეხურზე გაგრძელების მომენტისათვის. ამავე დროს, აკადემიური თუ სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელი პირობაა კონკურსი, შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია წინასწარი შეთანხმების გაფორმება დამსაქმებელთან. მიუხედავად ამისა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ნამდვილად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. პროგრამის სამივე კურსდამთავრებული პროფილის მიხედვით არის დასაქმებული. ასევე უკვე დასაქმებულია პროგრამის სტუდენტების უდიდესი უმრავლესობაც. ამავე დროს, დამსაქმებლები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში და მათი რჩევები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის გადახალისებისას. აჭარის საარქივო სამმართველოს თანამშრომლების ნაწილს მომავალში სურს ამ პროგრამაზე ჩაბარება. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას და ითვალისწინებს მის შედეგებს პროგრამების შემუშავებისას. ყოველივე ეს დასტურდება როგორც დოკუმენტაციით, ისე ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან, დოქტორანტებთან, დამსაქმებლებთან;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის – მონიშვნით https://employer.bsu.edu.ge/employer.php/Statistics2/index.html?Facs%5B%5D=9.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობის მექანიზმი და ის წარმატებით ხორციელდება. ამის ნათელი დასტურია მოქმედი სტუდენტების თხოვნის გათვალისწინება პროგრამის გადახალისებისას და დოქტორანტის სემინარებისა და კოლოქვიუმების ერთმანეთისაგან სემესტრულად დაცილება; კურსდამთავრებულების თხოვნის გათვალისწინება და არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდა; დამსაქმებლებთან კონსულტაციები და აკადემიური პერსონალის აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან,

კურსდამთავრებულებთან, დოქტორანტებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელების რეკომენდაციებით; დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, ხოლო უცხოენოვან მოქალაქეს, ამასთან ერთად, მოეთხოვება ქართული ენის A2 დონეზე ცოდნის დადასტურება. მთლიანობაში პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და მეტწილად უზრუნველყოფს როგორც პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩართვას, ისე მათ მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ უცხოენოვან სტუდენტთათვის დაწესებული მოთხოვნა. როგორც ერთ-ერთ ასეთ სტუდენტთან გასაუბრებამ ცხადყო, სტუდენტმა ქართული ენა ძალიან ცუდად იცოდა, რის გამოც გასაუბრებას ჩატარებისას ექსპერტთა ჯგუფს მოგვიწია ინგლისურ ენაზე გადასვლა. სტუდენტმა აღნიშნა, რომ ის აპირებდა დისერტაციის თურქულად დაწერას და შემდეგ მის ქართულად თარგმნას დაცვისთვის (პრინციპში, ეს მისაღებია და დარღვევას არ წარმოადგენს) და იქვე დაამატა, რომ მას ურჩევნია, რომ დაცვის პროცესზე ის საერთოდ ინგლისურად გამოვიდეს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც მოყვანილია ქვემოთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ისტორიის სადოქტორო პროგრამა; o გასაუბრებები თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დოქტორანტებთან; o ბსუ დოქტორანტურის დებულება.
რეკომენდაციები: უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ქართულ ენაში ცოდნის წინაპირობად, როგორც მინიმუმ, განისაზღვროს B1 დონე იმ დათქმით, რომ სწავლების ბოლოსთვის სტუდენტმა უნდა იცოდეს ქართული B2 დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება სტუდენტისათვის ქართულ ენაზე ჯერ სასწავლო კურსების დაძლევა, ხოლო შემდეგ დისერტაციის ქართულ ენაზე შესრულება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, წესრიგში იყოს მოყვანილი დოკუმენტაცია. პროგრამაში უბრალოდ მითითებულია უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა და შემდეგ დაკონკრეტებულია, რომ ბარდება გამოცდა ინგლისურ ენაში. თვითშეფასების კითხვარში უცხო ენების ჩამონათვალში, ინგლისურთან ერთად, რატომღაც მოცემულია გერმანული და ფრანგული ენებიც. ამავე დროს, დოქტორანტურის დებულებაში ამ ჩამონათვალს ემატება რუსულიც. ვიზიტის დროს ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ უკვე ერთი წელია რუსული არ ბარდება და ბარდება მხოლოდ ინგლისური, რაც დაადასტურა სტუდენტებთან შეხვედრამაც. ასე რომ, როგორც ჩანს, თვითშეფასების კითხვარს სჭირდება შესწორება (დებულება საუნივერსიტეტო ხასიათს ატარებს და არ არის გამორიცხული, სხვა პროგრამებს სხვა მოთხოვნები ჰქონდეთ). გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარში უცხოეთის მოქალაქეებისთვის მოთხოვნად წერია ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენა ან ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება. როგორც თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრისას დადგინდა, სწორი არის პროგრამაში მოცემული ჩანაწერი და ქართული ენის ცოდნის დონე განსაზღვრულია A2-ით (ამასთან დაკავშირებით ზემოთ იხ. რეკომენდაცია).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების მისაღწევად სადოქტორო პროგრამაში გამოყენებულია სწავლისა და სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრეზენტაცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, შემთხვევის ანალიზის, ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზის, ახსნა-განმარტებითი, ჯგუფში მუშაობის და სხვ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაბამისი გასაუბრებები ცხადყოფს, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სავალდებულო თუ არჩევით კურსებს წინაპირობები არ გააჩნიათ, რაც სავსებით ლოგიკურია მესამე საფეხურის სწავლებისათვის. ამავე დროს, პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო და არჩევითი კურსები ლოგიკურად არის დაკავშირებული კვლევით კომპონენტთან. სავალდებულო კურსები და სემინარები გადანაწილებულია პირველ ორ სემესტრზე. დოქტორანტს კვლევით კომპონენტზე ძირითადი მუშაობის დაწყებისათვის უკვე ათვისებული ექნება სავალდებულო სასწავლო კურსები. დოქტორანტის სემინარები და კოლოქვიუმები სემესტრულად დაცილებულია ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურა სრულიად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ცალკეული კურსების შეფასების სისტემა უზრუნველყოფს აღნიშნული კურსების სწავლის შედეგების მიღწევას. ამ მიზნით პროგრამაში გამოიყენება: წერითი გამოკითხვები, ზეპირი გამოკითხვები, პრეზენტაციები, წერითი შუალედური გამოცდები, კომბინირებული საბოლოო გამოცდები (ნაწილში მოცემულია როგორც ზეპირი, ისე წერითი კომპონენტები, ნაწილში კომბინირებულია სხვადასხვა წერითი კომპონენტები).

დოქტორანტის სემინარის შეფასებისას ხელმძღვანელი მაქსიმუმ 60 ქულით აფასებს საკითხის დასმას, მისი გადაწყვეტის გზას, მიღებულ შედეგებს და მათ არგუმენტირებულ დასაბუთებას. დოქტორანტი სემინარის პრეზენტაციაზე დაიშვება, თუ მისი ნაშრომი შეფასდება არანაკლებ 31 ქულით. პრეზენტაციას აფასებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (მინიმუმ 3 პირი, მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელი). სემინარი დაცულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი საბოლოოდ მიიღებს მინიმუმ 51 ქულას. სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სამუშაო ინდივიდუალურია სასწავლო კურსის მოცულობის გათვალისწინებით და ფასდება ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: საკვლევი თემის აქტუალობა; კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე; კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა; მეცნიერული სიახლე; მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი; შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება. დისერტაციის შეფასება ხდება სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ასქულიანი სისტემით ინდივიდუალურად და კონფიდენციალურად. ხმის დამთვლელ კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც ეფარდება ლათინური შეფასება საყოველთაოდ აპრობირებული და პროგრამაში მოცემული სქემის მიხედვით. დისერტაცია დაცულად ითვლება, თუ მიღებულ იქნა მინიმუმ 51 ქულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- ბსუ დოქტორანტურის დებულება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სადოქტორო პროგრამაში. სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდები გაწერილია შესაბამის სილაბუსებში, სადაც განმარტებულია, თუ რა შემთხვევაში რა ქულა იწერება. პროგრამაში მოცემულია დოქტორანტის სემინარის შეფასების კრიტერიუმები და საბოლოო ნაშრომის – დისერტაციის შეფასების პრინციპები. ყოველივე ეს ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და მათი გაცნობა არ წარმოადგენს არანაირ პრობლემას. გარდა ამისა, ამა თუ იმ კურსის ხელმძღვანელი თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტებს აძლევენ შესაბამის მითითებებს მიღწეული შედეგების გაუმჯობესების გზების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- ბსუ დოქტორანტურის დებულება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

o პროგრამის განხილვის შედეგად და პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრის შედეგად მტკიცდება რომ სტუდენტს თავისი პროფილი განსაზღვრული აქვს უნივერსიტეტში კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარებისთანავე, რაც აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და არაერთხელ იყო ხაზგასმული პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს. ისტორიის პროგრამაზე სტუდენტის კვლევის მონახაზი არის სადოქტორო პროგრამაზე მოხვედრის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა. ამ მონახაზის მიხედვით შესაძლებელია სტუდენტის ხელმძღვანელის შერჩევა და, შედეგად, მისი ჩარიცხვა სასწავლო პროგრამის მესამე საფეხურზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ სანამ სტუდენტი პროგრამაზე ჩაირიცხება, უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთან გასაუბრებას, რათა დარწმუნდეს სტუდენტის უნარებში, და დარწმუნდეს, რომ ის შეძლებს თავისი თემატიკის გავრცობას და დამუშავებას. აღნიშნული მიდგომა დოქტორანტის პროფილის განსაზღვრაში ნათლად ასახავს უნივერსიტეტის მიდგომას პროგრამის

მიმართ, რათა შეინარჩუნოს სტუდენტების მაღალი ხარისხი და მიიღოს ადეკვატური შედეგები.

- აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს გაუმჯობესებულ ვარიანტს. ერთ-ერთი საკითხი, რაც, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის განმარტებით, არის შეცვლილი უკეთესობისკენ, არჩევითი საგნების გაზრდილი რაოდენობაა. მათი განმარტებით, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მიიღონ თავისი პროფილის ფარგლებს გარეთ დოქტორანტისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება სტუდენტის ჩარიცხვიდან ორი თვის განმავლობაში. იგი თავისი კვლევის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას. დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი არ ზღუდავს გრაფიკს. საუნივერსიტეტო გრაფიკი დოქტორანტებთან მუშაობაზე მაქსიმალურად არის მორგებული. სასწავლო გეგმა გულისხმობს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომისთვის იქმნება ინდივიდუალური კვლევითი გეგმა, რაც თვითშეფასების ანგარიშშიც არის აღნიშნული.
- მიზნების გასაუმჯობესებლად სტუდენტები იღებენ საჭირო კონსულტაციებს, როგორც თავისი ხელმძღვანელობისაგან, აგრეთვე შესაფერისი შიდა საუნივერსიტეტო სამსახურებისგან. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტი სათანადოდ ინფორმირებულია, თუ რომელი სამსახური არის პასუხისმგებელი სტუდენტისთვის საჭირო კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებაში (აღნიშნული საკითხი დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროს). უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, რომელიც კოორდინირებას უწევს სტუდენტების გაცვლით პროგრამებს და, ისევე როგორც სტუდენტური სერვისების დეპარტამენტი, პასუხისმგებელია სტუდენტების ინფორმირებულობაზე საზღვარგარეთ სწავლებასთან დაკავშირებით და ზრუნავს მათ საერთაშორისო გამოცდილების ამაღლებაზე.

- ხარისხის სამსახურთან, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და თვითშეფასების ანგარიშის ჯგუფთან გასაუბრების შედეგად ხაზი გაესვა სტუდენტების სერვისების და კარიერული განვითარების სამსახურს, რომლებიც უნივერსიტეტში ცალ-ცალკე ფუნქციონირებენ. ეს ორი სამსახური ახალი ჩამოყალიბებულია და ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვებზე დაყრდნობით, მუდმივად განიცდის გაუმჯობესებას/ცვლილებას. ხარისხის სამსახურის უფროსის განმარტებით, შესაძლოა ეს ორი სამსახური მომავალში შეერწყას ერთმანეთს, რაც განპირობებულია სტუდენტების რჩევებით და მათი გამოცდილებით.

- ბსუ ხარისხის მართვის სამსახური ელექტრონულად ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს, რომლებიც გასული წლის ჩათვლით სტუდენტებისთვის იყო სავალდებულო, თუმცა მომავალი წლიდან ეს შეიცვლება და მიიღებს ნაბაყოფლობით სახეს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს

სტუდენტებთან გასაუბრება გულისხმობდა მხოლოდ დოქტორანტებთან შეხვედრას. სწავლების მესამე საფეხურის სტუდენტები მაღალი მოტივაციით გამოირჩევიან როგორც თავიანთი კვლევის შედეგების მისაღწევად, აგრეთვე მაღალი პირადი პასუხისმგებლობით ზოგადად უნივერსიტეტის მიმართ, რაც გულისხმობს მათ ჩართულობას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. დოქტორანტებმა დაადასტურეს, რომ ისინი ავსებენ ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებულ ანონიმურ კითხვარებს, მიუხედავად იმისა, სავალდებულოა თუ არა ამ გამოკითხვებში მონაწილეობა. o ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ სტუდენტები მონაწილეობდნენ პროგრამის გაუმჯობესებაში. უშუალოდ პროგრამის კურსდამთავრებულები იყვნენ ჩართული როგორც თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში, აგრეთვე გაცნობიერებული ახალ პროგრამაში შეტანილი ყველა პატარა ცვლილების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ისტორიის სადოქტორო პროგრამა; o გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აგრეთვე როგორც სტანდარტ 3.1-ში უფრო დეტალურად არის აღნიშნული, ყოველი დოქტორანტი თავისი კვლევის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას. სტუდენტების და მათი ხელმძღვანლების განმარტებით შედგენილი სამუშაო გრაფიკის ფარგლებში, აკადემიური პერსონალის სამუშაო გრაფიკში იგულისხმება ყოველკვირეული ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის საათები და ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფილი დრო ყველა დოქტორანტისთვის დგინდება ინდივიდუალურად თავის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რაც ადეკვატურია და სრულიად მისაღები სწავლების მესამე საფეხურის სტუდენტებისათვის. გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა რომ, დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- კვლევითი პროექტები ისტორიის სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტთან არსებობს სტუდენტთა სამეცნიერო კლუბიც, რაც ძირითადი მოტივატორია სტუდენტისთვის აწარმოოს კურიკულუმის ფარგლებს გარეთ დამატებითი კვლევები. ამ კლუბში გაწევრიანება დოქტორანტის სურვილზეა დამოკიდებული. რაც შეეხება უშუალოდ პროგრამას, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამიდან და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან მტკიცდება, რომ უნივერსიტეტი მრავალმხრივ უწყობს ხელს სტუდენტების ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. გარდა იმისა, რომ, კვლევთი პროექტები, განახლებული სადოქტორო პროგრამის ნაწილია, პროგრამის ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომლებიც ამ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ნაწილსაც წარმოადგენს. მაგ: დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომელსაც ატარებენ ყოველწლიურად.

- სადოქტორო პროგრამის ნაწილია კურსდამთავრებულების შემდგომი დასაქმება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პროგრამას ჰყავს სამი კურსდამთავრებული და თითოეული მათგანი დასაქმებულია თავისი პროფილის მიხედვით, თუმცა ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ბევრად უფრო დიდია. სტატუსშეჩერებული

სტუდენტი პროგრამაზე უკანასკნელი სემესტრის მიხედვით მხოლოდ ერთია, რაც მისი (სტუდენტის) პირადი მიზეზებით არის განპირობებული და არ არის უნივერსიტეტზე დამოკიდებული. აგრეთვე შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები მუდმივად მზად არიან ვაკანსიები შეავსონ ამ პროგრამის სტუდენტების კურსდამთავრებულებით. მათი მტკიცებით, ეს პროგრამა მორგებულია მათ სამეცნიერო (საკვლევ) საქმიანობაზე. o როგორც კურსდამთავრებულებთან საუბრისას გაირკვა, ბსუ დოქტორანტები შეძლებისდაგვარად ჩართული არიან საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა დააფინანსა ერთ-ერთი მათგანის კვლევითი ექსპედიცია, რომელიც საჭირო იყო დისერტაციის სათანადო დონეზე შესასრულებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ისტორიის სადოქტორო პროგრამა; o გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტში კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ჩაბარება. აგრეთვე, თუ სტუდენტი უცხოენოვანია, მას მოეთხოვება ქართული ენის A2 დონეზე ჩაბარება. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება, გასაუბრებოდა სტუდენტებს (მათ შორის, უცხოენოვან) და კურსდამთავრებულებს, რაზე დაყრდნობითაც ექსპერტთა რეკომენდაცია შეეხება ქართული ენის სერტიფიკატის უფრო მაღალი საფეხურის (მინიმუმ B1 დონეზე) ჩაბარების გაზრდას (აღნიშნული რეკომენდაცია იხილეთ 2.1 სტანდარტში). აღსანიშნავია, რომ პროგრამა ქართულენოვანია და ისევე როგორც ქართველებს, უცხოელებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის მინიმუმ B2 დონეზე ჩაბარება (რაც სავალდებულოა ხარისხიანი კვლევისთვის). უცხოელი სტუდენტების ამ პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში უცხოელებს ქართული ენის ადეკვატური ცოდნის დონე უნდა მოეთხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რთულად წარმოსადგენია უცხოელების ინტეგრაცია ქართულენოვან უნივერსიტეტის სადოქტორო კვლევის საქმიანობაში, რაც ხელს არ უწყობს მაღალკვალიფიციური ინტერნაციონალური შედეგების მიღწევას.

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების გაცვლის მექანიზმი, რაც საშუალებას აძლევს მათ მიიღონ განათლება საქართველოს საზღვრებს გარეთ. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა როგორც ერაზმუსის პროგრამებში, ისე დაფინანსდეს მათი კვლევა თურქეთში მევლანას პროგრამით. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა საზღვარგარეთ კონფერენციაში, კერძოდ, გერმანიაში. აგრეთვე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხოელი პროფესორების ჩართულობას როგორც ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, აგრეთვე დოქტორანტების ნაშრომების რეცენზირებაში, ხოლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა საგრანტო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში.

- დოქტორანტებს მოეთხოვებათ ხუთი პუბლიკაცია, რომელთაგან ერთი აუცილებლად დაბეჭდილი უნდა იყოს საზღვარგარეთ, თუმცა აღნიშნული დათქმა ახალი მიღებულია და არ შეხებია აქამდე არსებულ კურსდამთავრებულებს თუ დამამთავრებელი კურსის დოქტორანტებს. როგორც ამ უკანასკნელებთან საუბარმა ცხადყო, მათთვის სავალდებულოა უცხოენოვანი სტატიის გამოქვეყნება. ამავე დროს, გაირკვა, რომ ისინი ამზადებენ რუსულენოვან სტატიას (ვინაიდან კანონით

და სტანდარტებით არ არის განსაზღვრული უცხოური პუბლიკაციის აუცილებლობა, ეს არ წარმოადგენს დარღვევას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ისტორიის სადოქტორო პროგრამა; o გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ჩვენი აზრით, სავალდებულო პუბლიკაციების რიცხვის გაზრდა სამიდან ხუთამდე, რომელთაგან მხოლოდ ერთი უნდა იყოს უცხოენოვანი, არ წარმოადგენს დიდ აუცილებლობას და არ უწყობს ხელს კვლევის ხარისხის ამაღლებას თუ ინტერნაციონალიზაციას. ამავე დროს, უმჯობესი იქნება თუ დოქტორანტები მეტ ყურადღებას მიაქცევენ ინგლისურენოვანი პუბლიკაციების გამოქვეყნებას თავიანთი კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესებისათვის და უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს მათ ამ მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გსუ-ს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ქმნის იმ აუცილებელ აკადემიურ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპლექსური მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის და კვლევითი საქმიანობისთვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტები უზრუნველყოფილია აუდიტორიებით (უნივერსიტეტის პირველი კორპუსი), ლაბორატორიებით, კაბინეტებით (კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის, ისტორიის მეთოდოლოგიური სწავლებისა, თურქოლოგიის და ა.შ.) და ბიბლიოთეკით. თითოეული ეს სასწავლო თუ სამუშაო სივრცე აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, მულტიმედიასაშუალებებით. გარდა ამისა, გსუ-ს სტუდენტებს აქვთ წვდომა გარკვეულ ელექტრონულ ბაზებზე, მაგალითად, EBSCOHost-ზე. ბიბლიოთეკაში დაცულია როგორც სასწავლო სილაბუსებით გათვალისწინებული, ასევე დარგობრივი მდიდარი ლიტერატურა. ბიბლიოთეკის რესურსი პერიოდულად ახლდება და ემატება ახალი გამოცემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, დოქტორანტებთან, აკადემიურ პერსონალთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება;

- საბიბლიოთეკო რესურსების გაცნობა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს ისტორიის სადოქტორო პროგრამას წარმართავს კონკურსის წესით არჩეული აკადემიური პერსონალი – სულ 14 ადამიანი, მათ შორის სამი ხელმძღვანელი (აღსანიშნავია, რომ პერსონალის ჩამონათვალში პროგრამაში შეცდომით იყო მითითებული თსუ-ს პროფესორი ვასილ კაჭარავა, რომელიც ადრე თანამშრომლობდა

ბსუ-სთან და გამორჩენილი იყო ბსუ ასოც. პროფ. ირაკლი გორგილაძე. აღნიშნული შეცდომა, როგორც გაირკვა, ტექნიკურ ხასიათს ატარებდა და გასწორდა). პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი აფილირებულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მუშაობს იმ მიმართულებებით, რომლებიც ერთად და მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლები იკვლევენ ისეთ პრობლემატიკას, როგორიცაა: ძველაღმოსავლური და ანტიკური სამყაროს კავშირები ძველ საქართველოსთან; განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკვანძო მონაკვეთებზე; მაგალითად, საქართველოს ამ ისტორიული მხარის მიმართება ისლამურ სამყაროსთან ოსმალეთის შემადგენლობაში ყოფნის დროს თუ შემდგომ ხანაში; ასევე, პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების და კვლევის არეალში შედის დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხები. ამ ფართო და მრავალწახნაგიან პრობლემატიკაზე ფაკულტეტის პერსონალს გამოქვეყნებული აქვს აკადემიური პუბლიკაციები (მონოგრაფიები და სტატიები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები (CV).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის პროგრამის მიზნების განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული სათანადო კომპეტენციის და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი (პროგრამის მონიტორინგი, მისაღები გამოცდები, ხელშეკრულების გაფორმება და სხვა საკითხები ფაკულტეტის დეკანატის მეთვალყურეობის ქვეშ არის), დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები.
დამხმარე პერსონალი შედგება ფაკულტეტის სამდივნოს სპეციალისტისა და დეპარტამენტის სპეციალისტისგან. აგრეთვე, ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების სამსახური, რომელიც კოორდინაციას და მონიტორინგს უწევს მეორე და მესამე საფეხურის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის.
ფაკულტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ისინი რეგულარულად მონაწილეობენ სახელმწიფო დაწესებულებების და განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დოქტორანტებთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის სადოქტორო პროგრამის განსაზღვრული სასწავლო მასალა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა არსებითად პასუხობს დარგის თანამედროვე მიღწევებს, რაც სწავლის შედეგების მიღწევას რეალისტურს ხდის. სტუდენტებისთვის მისაწვდომია სილაბუსებში დასახელებული ლიტერატურა. ასევე, მათ აქვს წვდომა ელექტრონულ გაზეთებზე და კატალოგებზე.

ამავე დროს, გარკვეულ შემთხვევებში სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა საჭიროებს განახლებას თუ გამდიდრებას (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. რეკომენდაცია პუნქტში 1.2.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბსუ-ს ბიბლიოთეკის ვებგვერდი – https://bsu.edu.ge/sub-15/news/index.html;
- გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

რამდენიმე საგნის სილაბუსი, კერძოდ: ისტორიის ფილოსოფიის პრობლემები, მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1878-1918 წლებში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის აქტუალური პრობლემები, – საჭიროებს ლიტერატურით გამდიდრებას ან მის განახლებას (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. რეკომენდაცია პუნქტში 1.2.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ცალკე ბიუჯეტი არ გააჩნია და ის ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რომლის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების, ტექნიკური აღჭურვილობის, ინვენტარის უზრუნველყოფის, ასევე უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის დანახარჯები და სხვ.

ამასთანავე, პროგრამის დაფინანსება ხდება თავად დოქტორანტების მიერ. ისტორიის პროგრამის ფინანსური მხარე შემდეგ დეტალებს მოიცავს: პროგრამის სასწავლო კომპონენტი (60 კრ.) საფასურს 2250 ლარის სახით იხდის დოქტორანტი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მეცნიერ-ხელმძღვანელის სამუშაოს (100 საათი) დაფინანსება 1700 ლარის ოდენობით (ხელმძღვანელთა უმრავლესობა უარს ამბობს ფინანსური საზღაურის მიღებაზე და უსასყიდლოდ ემსახურება სტუდენტებს). საერთაშორისო რეცენზირების ხარჯი – 400 ლარს შეადგენს, საჯარო დაცვის ხარჯი კი 600 ლარს. ასევე ცალკეა ადმინისტრაციული ხარჯი 120 ლარის ოდენობით. ყველა ამ ხარჯს (ჯამში 3370 ან 5070 ლარი იმის მიხედვით, იღებს თუ არა მეცნიერ-ხელმძღვანელი გასამრჯელოს სტუდენტის ხელმძღვანელობაში) იხდის დოქტორანტი. ამავე დროს, ბსუ-ში არსებობს სტუდენტური

პროექტების დაფინანსების სისტემა, შიდა გრანტები და შესაძლებელია სამეცნიერო მივლინებებისთვის დაფინანსების მიღება, რომელსაც გამოყოფს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო. დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში სტუდენტს მოეთხოვება ხუთი სტატიის გამოქვეყნება. სტატიების პუბლიკაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს ფარავს დოქტორანტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №01, 2017 წლის 25 აპრილი; ○ ბსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №36, 2016 წლის 9 ივნისი; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე" ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს დარწმუნდა რომ ბსუ-ში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობას.

- ხარისხის სამსახურთან და თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფთან საუბრისას ნათელი გახდა, რომ კონკრეტული პროგრამის შემუშავებასა თუ მის გაუმჯობესებაში ჩართული იყო ყველა საჭირო და დაინტერესებული მხარე. მათ ჩართულობას კოორდინირებას უწევდა ხარისხის სამსახური.

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი მრავალფეროვანია და ძირითადად მოიცავს უშუალო გასაუბრებებს და ანონიმურ სისტემურ კითხვარებს, რომლებსაც ხარისხის სამსახური სემესტრულად ელექტრონული სახით აგზავნის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით ხარისხი ქმნის დამსაქმებლების და ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით ადეკვატურ სტატისტიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- ბსუ ხარისხის სამსახურის კვლევები. იხ.: https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე" ციკლის ფარგლებში უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად უმჯობესდება, რისი საუკეთესო მაგალითია კონკრეტულ პროგრამაში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ხარისხის შიდა სამსახურმა კვლევებზე დაყრდნობით შეიმუშავა. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, ცვლილებები სწავლების ყველა საფეხურზე შეინიშნება და მათ შორის კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაზეც არის ორიენტირებული. უნივერსიტეტის სწრაფვა უკეთესობისკენ და პროგრესი აღნიშნეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- ბსუ ხარისხის სამსახურის კვლევები. იხ.: https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეიმურაზ პაპასქირი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მალხაზ თორია

სახელი, გვარი, ხელმოწერა